საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 50/026 (ს/კ 01.17.01.050.029), შენობა 1-ის (ბლოკი №1 – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ბლოკი №2 – ორდონიანი მიწისქვეშა ავტოფარეხი და ბლოკი №3 – მიწისქვეშა სათავსი (საგამოფენო სივრცე) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 50/026 (ს/კ 01.17.01.050.029), შენობა №1-ის (ბლოკი №1 – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ბლოკი №2 ორდონიანი მიწისქვეშა ავტოფარეხი და ბლოკი №3 – მიწისქვეშა სათავსი – საგამოფენო სივრცე) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/მ^2.;
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ^2.

კორექტირება შეეხო ბლოკი №2 ორდონიანი მიწისქვეშა ავტოფარეხს და ბლოკი №3 – მიწისქვეშა სათავსი – საგამოფენო სივრცეს, გარდა ამისა შესრულდა ღია ტერასის პროექტი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შენობა №1-ის სამივე ბლოკს.

მოხდა ბლოკი №3 მიწისქვეშა სათავსი – საგამოფენო სივრცის კორექტირება რაც გამოიხატა შემდეგში : შეიცვალა შენობის კარკასი, კერძოდ შენობაში სვეტის კვეთები ტოლია რუსული ‘გ’-ს ფორმის კვეთით

100X130, მართკუთხა და კვადრატული ფორმის კვეთით 500X100, 50X60, 50X50, 30X50

რიგელები კვეთით 50X130, 50X70, 50X60, 40X60, 40X50, 30X60, 30X70

გადახურვის მონოლითური ფილები სისქით 18 და 22 სმ.

კიბეები რკინაბეტონის მონოლითური სისქით 18 სმ.

კორექტირების შედეგად ბლოკი №1 და ბლოკი №2 შორის გაჩნდა 2 სართულიანი ღია ტერასული ნაგებობა, რომლის მზიდ კონსტრუქციად გამოყენებულია რკინაბეტონის კარკასი, კერძოდ საძირკვლის მონოლითური ფილა სისქით 50 სმ.

მონოლითური სვეტები კვეთით 40X40, 40X70, 60X40, 1157X30, 709X40, 1130X40, 630X40, 900X40, 30X40.

მონოლითური რიგელები კვეთით 40X60, 40X40, 30X60

გადახურვის მონოლითური ფილები სისქით 18 სმ.

კიბეები რკინაბეტონის მონოლითური სისქით 18 სმ.

კორექტირება არ ეხება ბლოკი №2 ორდონიანი მიწისქვეშა ავტოფარეხს.

კორექტირებული და ახალი ნაგებობის (ღია ტერასა) საპროექტი შენობების გაანგარიშებები ჩატარებულია გამოთვლითი

კომპლექსის „LIRA Sapr 2016“-ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით, შესაბამისად, შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია და პროექტს ეძლევა ცალსახად დადებითი საექსპერტო შეფასება.

ექსპერტი – საკონსტრუქტორო

განყოფილების მთ. სპეციალისტი გ.რეხვიაშვილი

27.12.2021 წ.